მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

ეკონომიკა 3

ბიზნესის ადმინისტრირება..... 7

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი..... 12

პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა Economics
საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი). • ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ გავლილი აქვს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას (უცხო ენის ცოდნის დონეების განმარტება იხ. ლინკზე https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/2452018_ d2.pdf). დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. • გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან (იხ. ბმული: https://old.tsu.ge/ge/faculties/economics/study/docprogram/bey5o wu0plk35ymfg/; დანართი 2)
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ეკონომიკის დოქტორი (Ph.D in Economics)
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	50
სავალდებულო სასწავლო კურსები	35
არჩევითი სასწავლო კურსები	15
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეათე კორპუსი, უნივერსიტეტის N2
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ეკონომიკისა და ბიზნესისი ფაკულტეტი

საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: აკადემიკოსი, პროფ. ა. სილაგაძე აკადემიკოსი, პროფ. ვლ. პაპავა პროფ. იური ანანიაშვილი პროფ. სიმონ გელაშვილი პროფ. რევაზ გველესიანი პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი პროფ. თეიმურაზ ბერიძე პროფ. ეთერ ხარაიშვილი
	პროგრამის კოორდინატორი: პროფ. ეთერ ხარაიშვილი
	ტელ.: +995 599544242 +995 595333359 +995 599347092 +995 599462330 +995 591939090 +995 599794949 +995 599548844 +995 577248821
	ელფოსტა: avtandil.silagadze@tsu.ge vladimer.papava@tsu.ge iuri.ananiashvili@tsu.ge simon.gelashvili@tsu.ge revaz.gvelesiani@tsu.ge elguja.mekvabishvili@tsu.ge teimuraz.beridze@tsu.ge giorgi.gegenidze@tsu.ge nodar.khaduri@tsu.ge eter.kharaishvili@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო	35 ECTS
არჩევითი	15 ECTS

სულ	50 ECTS
პროგრამის მიზანი	
პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი კადრების მომზადება, რომლებსაც აქვთ ეკონომიკის დარგსა და სწავლების სფეროში უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული თეორიული ცოდნა, შეუძლიათ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ორიგინალური კვლევების დამოუკიდებლად წარმართვა, მიღებული შედეგებით წვლილის შეტანა ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაში, თანამედროვე მეთოდებით სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.	
სწავლის მეთოდები	
• ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი • წერითი მუშაობის მეთოდი • ჯგუფური მუშაობა • დისკუსია/დებატები • ახსნა–განმარტებითი მეთოდი • თანამშრომლობითი სწავლება • პროექტი/რეფერატი • პრეზენტაცია • დემონსტრირების მეთოდი • გონებრივი იერიში • შემთხვევის ანალიზი • საექსპერტო შეფასებისა და სხვ. მეთოდი	
შეფასების პროცედურები	
ხუთი სახის დადებით შეფასება: • ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; • ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. **ორი სახის უარყოფით შეფასება:** • (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და	

მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: დადებითი შეფასება:
ა) ფრიადი **(summa cum laude)** - შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი **(magna cum laude)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი **(cum laude)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო **(bene)** - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი **(rite)** - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. უარყოფითი შეფასება:
ვ) არადამაკმაყოფილებელი **(insufficient)** - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი **(sub omni canone)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას

სწავლის შედეგები

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:
ცოდნა და გაცნობიერება
• ეკონომიკაში უახლესს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის ინტერპრეტირება კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;
• რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უახლესი და ინოვაციური მეთოდების იდენტიფიცირება მულტიდისციპლინურ კონტექსტში პრობლემის დამოუკიდებლად გამოკვლევისა და გადაწყვეტისთვის.
უნარები
• ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული რელევანტური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება;
• ინოვაციური და ორიგინალური კვლევის პროცესში რთული, წინააღმდეგობრივი მიდგომების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტა;
• საკუთარი ორიგინალური კვლევის შედეგებისა და ახალი პარადიგმების არგუმენტირებულად წარდგენა აკადემიური, პროფესიული და ფართო საზოგადოების წინაშე;

• უახლესი ცოდნისა და საკუთარი კვლევის საფუძველზე სამეცნიერო პუბლიკაციის შექმნა, რომელიც საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის აუცილებელი სტანდარტის დონეს შეესაბამება;
• სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

• ეთიკური წესებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ინოვაციურობის დემონსტრირებით ორიგინალური კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად განხორციელება.

დასაქმების სფეროები

ეკონომიკის დოქტორებს შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში აკადემიურ პოზიციებსა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონცეფციითა და წესებით.

ეკონომიკის დოქტორის დასაქმების სფეროს, ასევე, განეკუთვნება ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები, გაერთიანებები, მსხვილი კორპორაციები, კონსალტინგური ცენტრები, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და სხვ.

პროგრამის სახელწოდება	**ბიზნესის ადმინისტრირება** **Business Administration**
საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის ან ბიზნესის შემსწავლელი სხვა მეცნიერებების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი). • ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ გავლილი აქვს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას (უცხო ენის ცოდნის დონეების განმარტება იხ. ლინკზე https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/2452018_d2.pdf). დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

	• გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (Ph.D in Business Administration)
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	50
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეათე კორპუსი, უნივერსიტეტის ქუჩა N2
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ეკონომიკისა და ბიზნესისი ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი გიორგი ღაღანიძე პროფესორი ნუგზარ თოდუა პროფესორი ირაკლი კოვზანაძე პროფესორი დავით ნარმანია პროფესორი ელენე ხარაბაძე პროფესორი დემურ სიჭინავა პროფესორი თემურ შენგელია პროფესორი იოსებ ხელაშვილი
	პროგრამის კოორდინატორი: -პროფესორი ნ. თოდუა; პროფესორი თ. შენგელია
	ტელ.: +995 599 506428 +995 593 321655 +995 577 482544 +995 599 116633 +995 577 274410 +995 599 567812

+995 595 904757
+995 599 971183

ელფოსტა:
giorgi.gaganidze@tsu.ge
nugzar.todua@tsu.ge
irakli.kovzanadze@tsu.ge
davit.narmania@tsu.ge
elena.kharabadze@tsu.ge
demur.sitchinava@tsu.ge
temur.shengelia@tsu.ge
ioseb.khelashvili@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო	35 ECTS
არჩევითი	15 ECTS
სულ	50 ECTS

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ორიგინალური კვლევების განხორციელებას, მიღებული შედეგების დანერგვას როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესში, ისე წარმოებასა და ბიზნეს საქმიანობაში, თანამედროვე მეთოდებით სწავლების განხორციელებას, მკვლევარის უნარების გამოყენებას საზოგადოებისა და ბიზნესის განვითარებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

სწავლის მეთოდები

ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია, დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პროექტი, პრეზენტაცია, წყვილებში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, წიგნზე მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი, სწავლება კეთებით.

შეფასების პროცედურები

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: დადებითი შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. უარყოფითი შეფასება:

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას

სწავლის შედეგები

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს თანამედროვე თეორიების ინტერპრეტირებას სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე;
- ინოვაციური მეთოდების გამოყენებით განაზოგადებს ბიზნესის ადმინისტრირების დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას და მულტიდისციპლინურ კონტექსტში პრობლემების გადაჭრის გზებს.

უნარები

- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გეგმავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ორიგინალურ კვლევას;
- ახდენს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების ფორმირებას, რომლებიც საერთაშორისო

რეფერირებადი პუბლიკაციის აუცილებელი სტანდარტის დონეს შეესაბამება; ➢ კრიტიკული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე დამოუკიდებლად და ეფექტიანად გადაწყვეტს რთულ, კომპლექსურ პრობლემებს; ➢ საკუთარი ორიგინალური კვლევის შედეგებს და ახალ ცოდნას არგუმენტირებულად წარმოადგენს აკადემიური, პროფესიული და ფართო საზოგადოების წინაშე, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; ➢ სწავლების რეალურ პროცესში წარმატებით იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და სტრატეგიებს. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა • დამოუკიდებლად ახდენს საკუთარი ორიგინალური კვლევის შედეგების დემონსტრირებას აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
დასაქმების სფეროები
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორებს შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით. ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროს, ასევე, განეკუთვნება ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები, საწარმოო კოოპერატივები, სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები), აგრეთვე, არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში.

პროგრამის სახელწოდება	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი Tourism and Hospitality Management
საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი). • ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ გავლილი აქვს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. • დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. • გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ტურიზმის დოქტორი (PhD in Tourism)
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	50
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეათე კორპუსი, უნივერსიტეტის ქუჩა N2
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ეკონომიკოსა და ბიზნესის ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ ხელაშვილი
	პროგრამის კოორდინატორი: -
	ტელ.: +995 599971183
	ელფოსტა: ioseb.khelashvili@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო	40 ECTS
არჩევითი	10 ECTS
სულ	50 ECTS

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს ტურიზმის კომპლექსურ სფეროში ინოვაციური თეორიული ცოდნისა და მაღალი პედაგოგიური კვალიფიკაციის მქონე ტურიზმის აკადემიური დოქტორი, რომელსაც შეეძლება განახორციელოს ორიგინალური და უახლოეს მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მულტიდისციპლინური კვლევები. ასევე, პროგრამის მიზანია დოქტორანტი დაეუფლოს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და მათი გადაცემის უნარ-ჩვევებს, შეიტანოს თავისი წვლილი ტურიზმის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ღირებული, ახალი ცოდნის შექმნით და გავრცელებით.

სწავლის მეთოდები

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; დისკუსია/დებატები; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; თანამშრომლობითი სწავლება პროექტი/რეფერატი; პრეზენტაცია; დემონსტრირების მეთოდი; გონებრივი იერიში; შემთხვევის ანალიზი; საექსპერტო შეფასება; ონლაინ/ელექტრონული სწავლებისა და სხვ. მეთოდი

შეფასების პროცედურები

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების

შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: დადებითი შეფასება:
ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. უარყოფითი შეფასება:
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას

სწავლის შედეგები

ტურიზმის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:
ცოდნა და გაცნობიერება
• ტურიზმის კომპლექსურ სფეროში თანამედროვე კონცეფციების და თეორიების სიღრმისეული ინტერპრეტირება სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე;
• მოახდინოს ტურიზმის სფეროში მულტიდისციპლინური ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტი 5 კავშირების იდენტიფიცირება მათი გაანალიზებით და განზოგადებით;
უნარი
• განსაზღვროს კომპლექსური საკითხების კვლევებისათვის ადეკვატური მეთოდოლოგია უახლესი და ინოვაციური მეთოდიკის პრიორიტეტული ჩართულობით;
• დააკავშიროს კონკრეტული კვლევების შედეგები ტურიზმის სფეროში მიღებულ კონცეპტუალურ და თეორიულ ცოდნასთან;
• მოამზადოს მეთოდიკური და პრაქტიკული რეკომენდაციები კვლევითი შედეგების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;
•მოახდინოს მიღებული ცოდნის დემონსტრირება დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებით, კონფერენციებში მონაწილეობით და სასწავლო პროგრამების განხორციელებით და განახლებით;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
• აიღოს პასუხისმგებლობა მეცნიერული კვლევების მოსალოდნელ და უკვე მიღებულ შედეგებზე და შემუშავებული რეკომენდაციების გაცემაზე;
• დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის შემდგომი გაღრმავებისა და პროფესიული წინსვლის პერსპექტივები.

დასაქმების სფეროები

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები დოქტორის ხარისხით მზად იქნებიან დასაქმდნენ ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს საჯარო, არასამთავრობო და კერძო სექტორების უმაღლეს პოზიციებზე, მათ შორის უმაღლეს მენეჯერულ პოზიციებზე, კვლევით პოზიციებსა და ლექტორებად უმაღლეს სასწავლებლებში.